

	<b>შპს "ეტალონი"</b> <b>პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო</b> 0178, თბილისი, ჩარგლის ქ. № 73, ტელ/ფაქსი (995 32) 261 35 39, www.etaloni.org	
	<b>ხარისხის სახელმძღვანელო</b>	ხს-სო- 20790441- თ.7.3- 2017
<b>განაცხადის განხილვა</b>		ვერსია: 01 გვერდი 2 / 2

### განაცხადის განხილვა

სერტიფიკაციის ორგანო არა უმეტეს 4 დღის განმავლობაში აწარმოებს განაცხადზე თანდართული დოკუმენტაციის ანალიზს და ღებულობს გადაწყვეტილებას სერტიფიცირების ჩატარებაზე და აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც ასახულია სო-ს და განმცხადებლის ვალდებულებები.

განმცხადებელი ქმნის ყველა საჭირო პირობებს შეფასების ჩასატარებლად, დოკუმენტაციის შემოწმების ჩათვლით და უზრუნველყფს დაშვებას ყველა უბანზე, სარეგისტრაციო ჩანაწერებთან, შიდა აუდიტის ანგარიშის ჩათვლით და პერსონალთან, იმ მიზნით, რომ შეფასდეს პროდუქტის წარმოების ყველა ეტაპი.

განაცხადის განხილვის შემდეგ ორგანოს ხელმძღვანელობის მიერ ინიშნება შემფასებელი (ექსპერტი/აუდიტორი), რომელიც ამზადებს შეფასების ჩასატარებლად გეგმას, რათა არეგულიროს ყველა საჭირო ოპერაციის შესრულება.

შეფასების პროცესში მონაწილე პერსონალი უზრუნველყოფილია შესაბამისი დოკუმენტაციით.

სერტიფიკაციის პროცესზე ხელმისაწვდომობა არ უნდა იყოს დამოკიდებული რომელიმე ასოციაციის ან ჯგუფის მომხმარებლის, ან წევრთა რაოდენობაზე, ასევე, მათთვის უკვე გაცემული სერტიფიკაციების რაოდენობაზე. სერტიფიკაციის ორგანოში არ უნდა აღნიშნებოდეს შეუსაბამო ფინანსური ან სხვა პირობები.

სერტიფიკაციის ორგანოს შეუძლია უარი თქვას განაცხადის მიღებაზე, თუ გამოვლინდა მნიშვნელოვანი მიზეზები, როგორებიცაა: უკანონო საქმიანობაში მონაწილეობა, თუ მისი საქმიანობისას მეორდება სერტიფიკაციის/პროდუქტის მოთხოვნებთან ან მომხმარებელთან დაკავშირებული სხვა საკითხებთან შეუსაბამობა.